საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტია

ივერია

ქართული პოლიტიკის ორგანო. № 6-ის დამატება

რედაქტორი ელ. პატარიძე

სამგლოვიარო ფურცელი

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ დიდ ქართველთა ხსოვნისათვის — 1923 - 1953.

†

1923 წ. მაისის 15 - 25.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის საგანგებო კომისიის (ჩეკა)

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი :

ანტანტის კაპიტალისტების აგენტების მუშაობა საქართველოში აჯანყების მოსამზადებლად მოისპო დაპატიმრებით, რომელიც მოახდინა საგანგებო კომისიამ; საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულობის, საქართველოში ბანდიტურ მოძრაობის მოწყობისა და მუშურ-გლეხურ სახელმწიფოსათვის ღალატის გამო, ამიერ კავკასიის საგანგებო კომისიის მიერ დამთავრებულ გამოძიებით, საქართველოს ს.ს.რ. საგანგებო კომისია ადგენს: **მიესაჯოს უმაღლესი სასჯელი: 1. ანდრონიკაშვილს,** ალექსანდრე სიმონისძეს, 51 წ. ყოფილი თავადი, ყოფ. გენერალური შტაბის გენერალი, საბჭოთა საქართველოს სკოლის მასწავლებელი. ამ თანამდებობაზედ იყო, როდესაც შევიდა სამხედრო ცენტრის შემადგენლობაში და მონაწილეობდა ს. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მომზადებაში და ბანდიტურ

მოძრაობაში. 2. **წულუკიძეს** ვარდენ გრიგოლისძეს, 57 წ., ყოფ.
თავადი, ყოფ. გენერალი. იყო საქართველოს წითელი არმიის მთა-
საზღვრო ჯარის უფროსი და ამავე დროს ფაქტიურად ხელმძღ-
ვანელობდა სამხედრო ცენტრის მუშაობას. ს. ცენტრის დასტუ-
რით, მუსხელიშვილთან ერთად შეიმუშავა და ინტერპარტიული
კომიტეტის საშუალებით დაგზავნა ადგილობრივ ხალხის და ია-
რაღის მობილიზაციის გეგმა. 3. **აბხაზს**, კონსტანტინე ნიკოლო-
ზისძეს, 55 წ., უმაღლესი სამხედრო განათლების, ყ. თავადი, ყ.
გენერალი, ყ. მარშალი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიუ-
ლი პარტიის თავმჯდომარე. შედიოდა სამხ. ცენტრში და მონაწი-
ლეობდა საქართველოს საბჭ. ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყე-
ბის მომზადების ხელმძღვანელობაში. ნაც.-დემ. პარტიის ცეკა-
ში, საერთო აჯანყების საკითხის გარჩევის დროს მან, თავისივე
ჩვენების თანახმად, ხმა მისცა დაუყონებლივ შეიარაღებულ აჯ-
ანყებას. 4. **ხიმშიაშვილს**, გიორგი ნიკოლოზისძეს, 31 წ., ყოფ.
პოლკოვნიკი, საბჭოთა საქართველოს ბრიგადის სამოსწავლო ბა-
ტალიონის უფროსი. იგი იყო წითელ არმიაში, როდესაც მიიღო
მენშევიკების წინადადება, იყოს მათი პარტიის წარმომადგენე-
ლი სამ. ცენტრში და მონაწილეობას იღებდა ს. ს. რესპუბლიკა-
ში ბანდიტურ მოძრაობის ხელმძღვანელობაში. 5. **მუსხელი-
შვილს**, როსტომ ილიასძეს, 35., გენერალური შტაბის პოლკოვ-
ნიკი, საქ. საბჭოთა დივიზიის შტაბის უფროსი. იგი იყო ამ თა-
ნამდებობაზედ, როდესაც შედიოდა სამხ. ცენტრში და მუშაობდა
მენშევიკებისა და ნაც.-დემოკრატების კარნახით, აწვდიდა მათ
საიდუმლო სამხედრო ცნობებს და დუშეთის ამბოხების დროს
საექსპედიციო ჯარის შტაბის უფროსის თანამდებობაზედ, კავში-
რი ჰქონდა ბანდიტებთან და ხელმძღვანელობდა მათ. 6. **ზანდუ-
კელს**, მიხ. ნიკ., 39 წ., დუშეთის სამხედრო კომისარიატის სამ-
ნეო ნაწილის გამგე, მენშევიკური პარტიის დუშეთის კომიტე-
ტის წევრი. 1922 წ. შეადგინა ორი ბანდა დუშეთის მაზრაში,
ჰქონდა კავშირი მუსხელიშვილთან, რომელიც იმ დროს იყო სა-
ექსპედიციო რაზმის უფროსი. 7. **ბაგრატიონ - მუხრანსკის**, სიმონ
ლევანისძეს, 27 წ., ყ. ოფიცერი, ყ. თავადი. ეროვნულ-დემოკრ.
პარტიის ცეკას წინადადებით მუშაობდა გარეთ - კახეთის რაიო-
ნში აჯანყების მოსამზადებლად, ხელმძღვანელობდა მენშევიკე-
ბის მიერ შედგენილ ლაშქარაშვილის რაზმს გორის მაზრაში. 8.
ყარალაშვილს, ფარნაოზ რევაზ., 24 წ., ყ. ოფიცერი, საქარ. წი-

თელი არმ. I პოლკის უფროსის თანამემწე; 1922 წ. სექტემბერში ის იყო ძეგვის ხიდზე მყოფ ტყვის მფრქვეველთა რაზმის უფროსად და ამავე დროს დაიკავა კავშირი ლამკარაშვილის ბანდასთან და დასთანხმდა მასთან შეერთებაზედ. 9. **კერესელიძეს,** იასონ მათესძეს, 32 წ., ეროვ.-დემ. პარტ. წევრი, ეროვნ.-დემოკრატების წინადადებით კავშირი ჰქონდა ჩოლოყაშვილთან. 10. **ქუთათელაძეს,** ივ. გრიგ., 40 წ., ეროვ.-დემ. პარტიის სამხედრო ორგანიზაციის მონაწილე. ერ.-დემ. ცეკას წინადადებით ადგენდა ოფიცრების კონტრ-რევოლიუციონურ ჯგუფებს. 11. **ჭიაბრიშვილს,** სიმონ ეგორ., 42 წ., ვაჭარი, ეროვ.-დემ პარტიის წევრი. იღებდა აქტიურ მონაწილეობას ბანდებში დუშეთის მაზრაში 1922 წ. 12. **მაჭავარიანი,** ალექ. მიხ., 51 წ., ყ. პოლკოვნიკი, ქართველი დივიზიის I პოლკის უფროსი, ეროვ.-დემ. სამხედრო ორგანიზაციაში უახლოეს მონაწილეობას იღებდა ჩოლოყაშვილის ამბოხების დროის, მსახურობდა წითელ არმიაში და ამ დროს გადასცა ეროვ.-დემ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის განკარგულებანი საექსპედიციო რაზმის უფროს როსტომ მუსხელიშვილს. 13. **გულისაშვილს,** ელიზბარ ზაქარიასძეს, 32 წ., ყოფ. პოლკოვნიკი, ეროვ.-დემ. პარტიის სამხედრო ორგანიზაციის უახლოესი მონაწილე. საქართ. წითელ არმიაში პასუხისმგებელი ადგილი ეჭირა და ამავე დროს მიქონდა ცნობები ჩოლოყაშვილთან. 14. **კლიმიაშვილს,** ლევან ივაკ., 26 წ., წითელი არმიის ოფიცერი. ეროვ.-დემ. პარტ. ცენ. კომ. დავალებით აგროვებდა და გზავნიდა ჩოლოყაშვილთან ოფიცრებს. 15. **ჩრდილელს,** დიმიტრი ნიკოლ., 29 წ., ყ. პოლკოვნიკი, საქართ. წითელი არმიის საარტილერიო დივიზიონის უფროსი. ეროვ.-დემოკრ. სამხედრო ორგანიზაციის უახლოესი და მომქმედი წევრი. ოფიცრების ჯგუფის დავალებით სამხედრო ცენტრს უკეთებდა მოხსენებას, რომ მზადაა მის განკარგულებაში მყოფი ბატარეა გადასცეს ჩოლოყაშვილს.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილ პირებზედ განმოტანილი განაჩენი უკვე მოყვანილია სისრულეში".

(„კომუნისტი" № 115, 1923, 25 მაისი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდთა ბრძოლათა დიდი სული

ამ საშინელ განაჩენს თან ახლავს ჩეკის გამოძიების ვრცელი ანგარიში. იქ მოთავსებულია ამ ბრძოლათა დიდი სინამდვილის მცირე ნაწილი, რაც ჩეკას ჩაუვარდა ხელში. ხოლო ისიც საკმარისად ამჟღავნებს ამ ბრძოლათა ფართე ხალხური ხასიათს და მის მორალურ სიდიადეს. ბოლშევიკური მოსკოვის მიერ საქართველოს დაპყრობის პირველსავე, 1921 წელს, სეანეთის აჯანყება ბიძინა პირველის მეთაურობით. 1922 წ. კახეთ-ხევსურეთის აჯანყება კოლონელ ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით, საქართველოს საერთო აჯანყება 1924 წელს, ლეჩხუმის — 1928 და 1930 წ. ამბოხება ქალთა აჯანყებად წოდებული... ჩეკის დოკუმენტები პირველ ორ აჯანყებას ეხება და მესამე საერთო აჯანყებისათვის მზადებას. სამხედრო ცენტრი მოითხოვდა ჩოლოყაშვილის მეთაურობით წარმოებულ, 1922 წ. ბრძოლების საერთო აჯანყებად გადაქცევას. დიდი მხედრების ასეთი გადაწყვეტილება საბჭოთა რუსეთის იმ დროინდელ პოლიტიკურ და სამხედრო ვითარების ყოველმხრივ დაფასებაზედ იყო დაფუძნებული. საბჭოთა ძალაუფლება იმ ხანად საქართველოში მხოლოდ ქალაქებში და რკინის გზაზედ იყო განმტკიცებული. ასევე იყო სომხეთში, აზერბეიჯანში და ჩრდილო კავკასიაში. იქაც აჯანყებებს ჰქონდა ადგილი და ქართული მებრძოლი ძალები მათთან იყვენ დაკავშირებული. სეანეთის აჯანყება გამარჯვებით დასრულდა. ბოლშევიკურმა მთავრობამ ყოველივე დასთმო, აჯანყებულებთან ზავი შეკრა, და სეანეთი ფაქტიურად ავტონომიური გახდა. ჩოლოყაშვილის ძალების წინააღმდეგ მოქმედებაც მან მყისვე შეწყვიტა, როდესაც ჩოლოყაშვილმა შეაჩერა თავდასხმები და მთებში შევიდა. ბოლშევიკური მოსკოვი კარგად გრძნობდა თავის სისუსტეს კავკასიაში და მეტად ეშინოდა იქ ატეხილ ამბოხების გაფართოვების, რომ ის შამილის სტილის კავკასიურ ომად არ გადაქცეულიყო. სამხედრო ცენტრს საკვლევით შესაძლებლად მიაჩნდა ბოლშევიკური ძალების განადგურება კავკასიაში და მთელი კავკასიის განთავისუფლება. მისი ანგარიშით წითელი მოსკოვი კარგახანს ვერ მოახერხებდა კავკასიაზედ ხელახლა გამოლაშქრებას, და ამ ხნის განმავლობაში შეიძლებოდა კავკასიის გამაგრება და მის დასაცავად საკმაო სამხედრო ძალის შექმნა. კავკასიის გარეშეც, ყაზახთა ქვეყნებში, უკრაინაში და თურქესტანში კიდევ ღვივოდა ბრძოლის ცეცხლი. თვით შიდა რუსეთშიაც კიდევ არ იყო სავსებით აღმოფხვრილი დენიკინის, ვრანგელის, კოლჩაკის და სხვათა დიდ ბრძოლათა ფესვები. პოლონეთთან ომის წაგებამ და კრონშტატში ფლოტის აჯანყებამ კიდევ უფრო განამტკიცა საბჭ. ერებში ანტიბოლშევიკური სულისკვეთება. რევოლიუციონური დინამიზმით და სამოთხის დაპირებებით დაპყრობილი მასსების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განწყობილება დიდათ იყო შეცვლილი. ხუთი წლის კომუნისტური ექსპერიმენტები უკვე გაკოტრებული იყვნენ. სამოთხის ნაცვლად მუშებს საკმაო პურიც ვერ მისცეს, გლეხების ულმობელი რბევა სწარმოებდა და ისინიც ხორბალს მიწაში მალავდნენ. ბოლშევიზმი ჯვარედინ გზაზედ იდგა. ლენინი უკან დახევას ამზადებდა. ხოლო სტალინი ხალხთა ტერიტორიათა დამორჩილებისა, ტირანიის გეგმას. ხოლო 150 მილიონი მტრულად განწყობილი ხალხების იარაღით დამორჩილებისათვის საკმაო სამხედრო და ადმინისტრაციული ძალა მოსკოვს კიდევ არ მოეპოვებოდა. კავკასიაში განადგურებით მიყენებული შოკი შესაძლოა საბედისწერო გამხდარიყო ბოლშევიკური მოსკოვისათვის და მისი სწრაფი რღვევა დაწყებულიყო.

სამხედრო ცენტრის გეგმა ვერ განხორციელდა, ვინაიდან იმ ხანად ჭართული პოლიტიკური წრეები ვერ აღმოჩნდენ ისე შეთანხმებული და შეკრული, როგორც სამხედრო ძალები. სამხედრო ორგანიზაციის ნაწილობრივი ჩავარდნამ, რასკვირველია, დიდათ დაასუსტა ეს ძალა. ამავედ რომ ბოლშევიკური მოსკოვი ინტენსიურად აძლიერებდა თავის ძალას კავკასიაში, და ორი წლის შემდეგ, 1924 წლის საერთო აჯანყების დროის, ძალთა სასწორი მის მხარეზედ იყო გადახრილი. სტალინის ტირანიას სწრაფად მკვიდრდებოდა საბჭოეთში და მისი დამრღვევი მუშაობა გზას იკვლევდა მთელი მსოფლიოს სივრცეზედ. ხოლო ეს დემოკრატიული მსოფლიო უდარდელად შესცქეროდა ბოლშევიზმის უმაგალითო ზრდას და პატარა რევოლიუციონური ხანდის მსოფლიო საშიშროებად გადაქცევას. ზოგნი კიდევ მას ფარულად ეხმარებოდენ და ზოგნი ახდილადაც. საჭართველოში თანდათან შენელდა და ბოლოს მთლად შეწყდა შეიარაღებული ბრძოლა. ერმა იგრძნო ინსტინქტურად, და ასევე სხვა ერებმაც, რომ ამიერიდან ამ მსოფლიო საშიშროების დამარცხება მხოლოდ მსოფლიო მასშტაბით წარმოებულ ბრძოლითაა შესაძლებელი.

ჭართველმა ერმა განსაკუთრებული შეურიგებლობა გამოიჩინა ბოლშევიკური მოსკოვის მიმართ. მასში ის ხედავდა დამპყრობ ძალას გაცილებით უფრო საშიშს, ვიდრე იყვნენ სხვები, ხანგრძლივ წარსულში მრავალად ხილულნი. ის მას უნადგურებდა არა მარტო პოლიტიკურ არსებობას, არამედ ამასთან ერთად ეროვნული ცხოვრების ყველა სხვა საფუძვლებსაც, ოჯახს, ეკლესიას, ეკონომიურ და სულიერ ცხოვრების წესსა და რიგს. სტალინმაც განსაკუთრებული სისასტიკით უპასუხა თავის ერის მისდაგმი ასეთს შეურიგებლობას. ის უთუოდ ანგარიშობდა, რომ რუსეთის ხალხი არ იცნობდა მას თავის მამად და ბატონად. უკეთუ გადაჭარბებულ რუსულ შოვინიზმს არ გამოიჩენდა და ამის რა სხვას უწინარეს თავის ერზედ არ გაანალდებდა. მის გაბოროტებას და

სისასტიკეს სამხედრო ორგანიზაციებისა და აქტიურად მებრძოლ პარტიების მიმართ კიდევ ე ქ ნ ე ბ ო და ე რ თ გ ვ ა რ ი გ ა მ ა რ თ ლ ე ბ ა. ხოლო ამ ძალებთან ერთად მან გაწყვიტა მრავალი სამღვდელონი, მრავალი დიდი მეცნიერი, მწერალი და სხვა კულტურული ძალები, მოქალაქენი და მუშები. გლეხობას კიდევ სისტემატიურად გზავნიდა ის მასსიურად ჩრდილოეთის ბანაკებში სამუდამოდ, სიკვდილამდე. სტალინმა სასტიკად იძია შური თავის ერზედ მისი ბატონობის და მისი ბოლშევიზმის არ ცნობისთვის, არ მიღებისთვის.

ქართულ შეურიგებლობას სხვაგვარი გამოძახილიც ჰქონდა ქართველ კომუნისტებში. მოსკოვის ჯარებს რომ შემოუძღვნენ თავის სამშობლოში, რასაკვირველია, თავის გარშემო მხოლოდ მტრობასა და სიძულვილს ხედავდნენ, და თავს მტრის ბანაკში გრძნობდნენ. ისინი შეეცადნენ მათდამი ასეთი განწყობილების შენელებას მოსკოვური ბოლშევიზმის შეზომიერებით. ამან უკვე 1921 წ. პოლიტიკური ხასიათი მიიღო, მოსკოვის უხეში ცენტრალიზმის საწინააღმდეგო. ასე წარმოიშვა კომუნისტური „ეროვნული უკლონიზმი“ და ის მალე მოსკოვის მიერ სხვა დაპყრობილ ერების კომუნისტებშიც შეიჭრა. სტალინმა ყველგან სასტიკად დასაჯა ასეთები. ხოლო საქართველოში, პირველი კომუნისტური მთავრობიდან მხოლოდ ერთმა მოასწრო ბუნებრივად სიკვდილი. სხვები ყველანი დახოცეს. მაგრამ ამ მოძრაობამ მაინც მაგრად მოიკიდა ფეხი დაპყრობილ ერებში, და სტალინი დათმობაზე წავიდა — საბჭოთა რუსეთი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირად გადაიქცა, რესპუბლიკებისათვის კავშირიდან თავისუფლად გასვლის უფლებით. ხოლო ეს, რასაკვირველია, სრულ ფიქციად დარჩება ბოლშევიკური ტირანიის დამხობამდე.

საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის მემატიანე უთუოდ აღფრთოვანებულ ფურცლებს მიუძღვნის ქართველ მებრძოლთა განსაკუთრებულ სიმტკიცეს სიკვდილის წინაშე. როდესაც 1923 წ., 20 მაისს, ხელებ შეკრული მიიყვანეს ჩეკაში გენ. აბხაზი, გენ. ანდრონიკაშვილი, გენ. წულუკიძე და მათი თანამებრძოლნი, სიკვდილის განაჩენი წაუკითხეს და უკანასკნელი სიტყვის ნება მისცეს, ყველა მათი ამაყი შეუდრეკელობით აღსავსე სიტყვებით მიჰმართეს წითელ ჯალათებს: — სიკვდილით ვერ შეგვაშინებთ, ჩვენი სიკვდილი საქართველოს განთავისუფლების თავდებია. — მე ვკვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი სამშობლოს სამსხვერპლოზედ ზვარაკად მიტანისა. ჩვენი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს. — გადაეცით, რომ ჩვენ დავიხოცეთ, ვით შეფერის ქართველ პატრიოტებს. — სახეზედ გეტყობათ, რომ გაკვირვებთ ჩვენი სულის სიმტკიცე. წადით და უთხარით თქვენებს თუ როგორ იბრძვიან ქართველები სამშობლოსათვის.

ამის შემდეგ თითქოს დაკანონდა ქართველ პატრიოტებში ბოლშევიკური ტრიბუნალებისა და ჩეკის ჯალათების წინაშე ასეთი შეუდრეკელობის მანიფესტაცია. კათალიკოსი ამბროსი, მიტროპოლიტი ნაზარი, გენერალი გარდაფხაძე, გენ. სუმბათაშვილი, გენ. ყარალაშვილი, გენ. ძმანი ფურცელაძენი, პოლიტიკური პარტიების მეთაურები და მათი თანამებრძოლნი და სხვები ყველა წრის, ყველა ფენის, მოხუცნი და ახალგაზრდანი, ასე მეტყველობდენ სიკვდილის ჩრდილის წინაშე. თვით მორალურ ნიჰილიზმზედ აღზრდილი ქართველი კომუნისტებიც დაემორჩილენ სიკვდილთან შეხვედრის ასეთ წესს. არც ერთი მათგანი არ დათანხმებულა მათი პიროვნების გამათახსირებელ აღსარებასა და ცოდვათა მონანიებაზედ ხელის მოწერას. სტალინის სიყრმიდან მეგობარმა, ბუდუ მდივანმა, მიუგდო მათ ასეთი დეკლარაცია, და დაუყვირა: ასეთს განცხადებაზედ იქ მოაწერინეთ ხელი მოსკოვში, აქ კი თბილისია, საქართველოს დედა - ქალაქი...

საქართველოს განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლათა მარტიროლოგია მეტად ვრცელია და აღსავსე დიდი და წამებრივი გმირობით. იქ მრავალია ზეკაცური სიდიადით გაბრწყინვებული ფურცლები, რომელთაც ოდესმე მიაკვლევს ახალი რუსთაველისა თუ შექსპირის გენია და აცოცხლებს სამარადისოდ.

ალ. ასათიანი.

1923 წ. 20 მაისს, ბოლშევიკური მთავრობის მიერ
დახვრეტილ, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის
თავდადებულ გმირთა სულის მოსახსენებლად
გაიმართება პანაშვიდი,
ქართულ ეკლესიაში, 1953 წ. 17 მაისს, 12 საათ.

საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის
თავმჯდომარის **სპირიდონ კედიას**
გარდაცვალებიდან ხუთი წლის თავზედ, განსვენებულის სულის
მოსახსენებლად **გადახდილი იქნება პანაშვიდი** ლოგილის
სასაფლაოზედ, მაისის 17, ნაშუადღევის 4 საათზედ.

Impr. de Navarre, 11, rue des Cordelières, Paris.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი-545